სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №02-2348

ქ. თბილისი

18.11.2014

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობითი საბჭოსთვის საბჭოს წევრების კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები სამართლის სკოლიდან აკადემიური პერსონალისათვის ვაკანტურ ადგილებზე;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან, წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 19 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით, ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);
3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;

   ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი

უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში;

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლას დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2014 წლის 25 ნოემბრამდე მიაწოდოს აკადემიური პერსონალისა სია, პირადი ნომრის მითითებით;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამართლის სკოლიდან** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდება რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამართლის სკოლას, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

რექტორი

გიგა ზედანია